ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10

29 იანვარი

"___"_____ 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კახეთის ჩიხი N15-ში არსებული 244 კვ.მ. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ№01.19.21.001.332) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N#21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 იანვრის №02.24.48 განკარგულების შესაბამისად, განახორციელოს ქ. თბილისში, კახეთის ჩიხი №15-ში არსებული 244 კვ.მ. მუნიციპალური მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.19.21.001.332) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზება, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაში არსებული უფლებრივად უნაკლო 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისი, ცენტრალური ისანი-სამგორი (ს/კ №01.19.21.001.317) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი გაცვლის ხელშეკრულების პირობებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — **გიორგი ტყემალაძე**

ხელშეკრულება

უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი (თარიღი)

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 იანვრის №02.24.48 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №10 განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ერთის მხრივ ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო", მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი **(სახელი გვარი) მიერ პ/ნ №.....**; მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შატრავას ქუჩა №7) მიერ და მეორეს მხრივ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია (ს/ნ:204395537) წარმოდგენილი **(სახელი გვარი) მიერ პ/ნ №.....**; მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II მოედანი, #1, ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას: **ქ. თბილისში, კახეთის ჩიხი №15-ში არსებულ 244 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.19.21.001.332).**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **№01.19.21.001.332**; განცხადების რეგისტრაციის №882015707679 - 11/12/2015 12:27:46; მომზადების თარიღი: 15/12/2015 13:48:43; სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: სამგორი - 19; კვარტალი: 21; ნაკვეთი: 001/332; ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 244 კვ.მ; მისამართი: ქ. თბილისი, ჩიხი კახეთის, №15; მესაკუთრე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი.

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქ. თბილისში, ცენტრალურ ისან-სამგორში არსებულ 244 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.19.21.001.317).**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **№01.19.21.001.317**; განცხადების რეგისტრაციის №882015164090 - 25/03/2015 12:13:41; მომზადების თარიღი: 07/04/2015 17:45:37; სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: სამგორი - 19; კვარტალი: 21; ნაკვეთი: 001/317; ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 244 კვ.მ; მისამართი: ქ. თბილისი, ცენტრალური ისანი-სამგორი; მესაკუთრე:

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია (საპატრიარქო).

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემულ 01.19.21.001.317 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ახალი გზის დაპროექტება და აშენება საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.
3.2. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებები ხელშეკრულების მხარეებს გადაეცემა საკუთრების უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3.3. გადაცემულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების ორივე მხარის საკუთრების უფლებების რეგისტრაციის მიზნით, სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს) წარედგინება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
4.2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის საკუთრებად. უძრავი ქონება არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
4.3. მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.
4.4. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
4.5. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, „მყიდველს" არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
6.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
6.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
6.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია